თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 16

ქ.თელავი 19. 12. 2018წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ტიტე დარეჯანიშვილი**
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **დავით ღაღანიძე, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი.**
აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე, ამავე სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი ეკატერინე მიქელაძე, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ტ.დარეჯანიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის განხილვის შესახებ.

მომხს. ტ.დარეჯანიშვილი

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების განხილვის შესახებ.

მომხს. ტ.დარეჯანიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ტ.დარეჯანიშვილი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ტიტე დარეჯანიშვილმა აღნიშნა რომ ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რაც იურიდიული კომისიის მიერ იქნა გამოთქმული 2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტთან-დაკავშირებით, გათვალისწინებულია.

გადაწყვიტეს: პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ტიტე დარეჯანიშვილმა აღნიშნა რომ სასურველია ჯანდაცვის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას იმ ფიზიკური პირების დახმარება ოპერაციული მკურნალობის დროს, რომლებიც არ არიან სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს ერთიან ელექტრონულ ბაზაში, მაგრამ საჭიროებენ დახმარებას.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა გიორგი ენუქიძემ განაცხადა რომ შესაძლებელია აღნიშნული რეკომენდაციის გაითვალისწინება.

გადაწყვიტეს: მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

**მოისმინეს:** საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** ტიტე დარეჯანიშვილმა აღნიშნა წარმოდგენილი სახით პროექტი მისაღებია, რასაც მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმაც.

**გადაწყვიტეს:** პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

**მოისმინეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებმა აღნიშნეს რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო მიწის ნაკვეთები, რომელიც შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მიერ სხვაგვარად იქნეს გამოყენებული მიზანშეუწონელია გადაეცეს სახელმწიფოს კერძო კომპანიისთვის გადაცემის მიზნით.

**გადაწყვიტეს:** პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით და კომისიის უარყოფითი პოზიციის დასაფიქსირებლად.

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — ტიტე დარეჯანიშვილი